

1941

ТЕДЫНЪН ЗЫСЕМЛАР

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ԶՆԵՆՈՒՄՈՒՅՆ

ԼՍԳՐՈՄԻՆԵՐՆԵՐ



ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ԶՆԵՆՈՒՄՈՒՅՆ



პროლეტარებო ველა ქვეწილა, შერადითო!

ოქტომბრედი

საბავშვო ჟურნალი მკვირვლოვანთათვის

წლიწლი მითითხვა

თებერვალი № 2

1941 წ.

გაერმემლოგა „საალიტბაში“

რედაქ. მისაპართი: თბილისი, ერერესის ქ. № 5

სამპარტველოს ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის მითთვიური ორბანო „СКТМБРЕЛИ“ ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

შეღწევა შინაარსსი

1. ი. ბ. სტალინის პორტრეტი	33-1
2. ზალაკტიონ ტაბიძე—ჩვენ (ლექსი)	2
3. ლ. პ. ბერძის პორტრეტი	3
4. ანატოლ ლლონტი—ოკი წელი (წერლი)	3
5. გიორგი ჭუჩუხვილი—საქართველოს ზეიმზე (ლექსი)	5
6. გიორგი კახხიძე—თებერვალი (ლექსი)	6
7. არ. აქოფოვი—სათებერვალო საღამო (ლექსი)	7
8. როდონ მორძია—სამკაული (მოთბრობა)	8
9. ვანო მათიაშვილი—ღვგრძელობა ეოროშლოვს (ლექსი)	10
10. ვალვა თაბუკაშვილი—ჩვენი ქალაქი (მოთბრობა)	11
11. ლევან მებრძევილი—მოხუცის გაცვეთილი (მოთბრობა)	13
12. სანდრო შლენტი—იკოცხლ მრავალეამიერ (ლექსი)	14
13. მარია გავლანთი—ზარმაცი მწყემსი (ზღაპარი) თარგმანი ოსური-დან ნ. ჩაჩავას მიერ	16
14. ნინო ნაკაშიძე—პატარა ყურში და პატარა ალიკო (მოთბრობა)	გარეკანის მე-4 გვერდზე

შბატრობა გ. ასკურავასი

პ/მგ: რედაქტორი ლ. შიშინაძე

ხელმოწერილია დასამეცდალ 17/III
სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ერთ სამეცდალ
ფურცელში 27648

ქალაქლის ზომა 62x94
სამეცდალ ფორმათა რაოდენობა 2,5
თბ 11474 ზეგ. (Заказ) 944 ტირაჟი (Тираж) 13000



1904

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურა

ჩემი

ბალახიონ ბაბიქა

უცხო ვინმე არ გეგონო,
მე ვარ რატი რატიშვილი,
ათი შვილი ცოცხალი მყავს,
ასი შვილის-შვილის-შვილი.

მათში სულ ყველაზე უმცროსს
ჩემი სახელი აქვს: რატი,
მე ასი წლის მოხუცი ვარ,
მას წელს შეუსრულდა ათი.

როცა ვკითხავ: „ოცი წელი,
მიმდინარე წლებს რომ ერთვის,
ვისთვის იყო მეომარი?“
ბავშვი მიპასუხებს:— ჩვენთვის!

შემდეგ ვკითხავ: „ამ დროშებით,
ამ ვარდებით მონათენი

დღე ვისია დღევანდელი?“
ბავშვი მიპასუხებს:— ჩენი!

ბოლოს ვკითხავ: „მომავალი
საქართველოს შევბა-ლხენა
ვინ იგარძნოს და უზრუნველყოს?“
ბავშვი მიპასუხებს:— ჩენა!

ასეც არის! ამ ოც წელში
რაც ჩვენში გზა გაიკაფა,
მსგავსზე ფიქრსაც ვერ ბედავდა
ჩენი პაპის-პაპის პაპა.

მაშ: ლენინის და სტალინის
წინ გვიძლოდეს, ჩემო რატი,
ოცჯერ ოცი, ოცჯერ ასი
და ათასი წელიწადი!





ოსკი ჩეჩი

რ

ვენი სასიქადულო პოეტები აკაკი და ილია მწარედ მოთქვამდნენ ქართველი ხალხის ბედშობაზე.

ერთ თავის საუკეთესო ლექსში აკაკი წერდა, ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს და გამომხსნელს მოეღოსო, ესე იგი საქართველო რუსი დამპყრობელების კლანჭებშია მოქცეული და განთავისუფლებას მოეღოსო.

მაშინ ხალხი ძალიან შეწუხებული იყო. მეფე ამბობდა, რომ ყველანი—ქართველები, სომხები, თათრები — უნდა გაეარუსოთო, მათი ენა ძაღლის ენააო. ამიტომ სკოლაში ბავშვებს რუსულად ასწავლიდნენ, ღედაენაზე ლაპარაკსაც კი კრძალავდნენ.

გავიდა წლები. ხალხმა მეფე დაამხო, მაგრამ ჩვენს საყვარელ ქვეყანას უარესი ქაჯები—მენშევიკები დაეპატრონენ. მათ სულ გააპარტახეს ყველაფერი, დახურეს სკოლები, თეატრები, ქარხნები, ფაბრი-

კები... ქვეყნად არნახული შიმშილი და სიბნელე გამეფდა. ყოველდღე ომი იყო, ისპოდა ტყვიების ზუზუნი, ზარბაზნების გრილი. მენ შვიკეები ებრძოდნენ მოძვე ერებს, ადამიანები უმართებულოდ ეღვტდნენ ერთმანეთს.

იმ დროს კი რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება იყო. გამარჯვებული მშრომელი ხალხი თავისუფლად სუნთქავდა.

ჩვენში ეს კარგად იცოდნენ და აქაც მოინდომეს მშრომელებმა განთავისუფლება. მაგრამ მტერი ძლიერი იყო, საკუთარი ძალით მას ვერ დაამხობდნენ. ამიტომ დახმარებისათვის მიმართეს მოძვე რუს ხალხს. აუცილებლად უნდა დავეხმაროთ თავისუფლებისათვის მებრძოლთო, გადაწყვიტეს რევოლუციის დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა.

მათ აჯანყებულთა დასახმარებლად გამოგზავნეს წითელი ჯარი, ამ ჯარის სათავეში კი უშიშარი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე დააყენეს.

თებერვლის ერთ დღეს ჯარი მოადგა საქართველოს. შეშინებულმა მენშევიკებმა იგრძნეს, რომ მათი აღსასრული მოახლოებული იყო, დატოვეს ქვეყანა და საზღვარგარეთ გაიპარნენ.

ოცდახუთ თებერვალს საქართველოში უკვე ახალი ცხოვრება დაიწყო. ეს ისტორიული გამარჯვება სასწრაფოდ აცნობა დიდებულთ ლენინსა და სტალინს სერგო ორჯონიკიძე:

„თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“—სიამაყით სწერდა სერგო ორჯონიკიძე დიდ ბელადს.

გათენდა სულ ახალი დღე, დადგა სულ ახალი წყობილება. საქართველოშიც გაიმარჯვა უკვდავმა საქმემ. დაიწყო თავისუფალი, ადამიანური ცხოვრება. მალე ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკისაგან: აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოსაგან შეიქნა ამიერკავკასიის ფედერაცია, კავშირი. ეს ფედერაცია შევიდა საბჭოების ქვეყნის დიდ ოჯახში.

თუ მენშევიკების დროს საშინელი შუღლი იყო საქართველოსა და სომხეთს შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, ახლა მუდმივი ძმური კავშირი დაიწყო. მშვიდ, სასიხარულო ცხოვრებას შეუდგა მშრომელი ხალხი. მალე წალკატს დაემსგავსა ნამარტახალი ქვეყანა.

თბილისსა თუ სხვა ქალაქებსა და სოფლებში აღმოცენდა მრავალი ქარხანა და ფაბრიკა, სკოლა და კულტურული დაწესებულება...

ეს უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების სათავეში ჩადგა

სტალინი. მისი ბევრი დაუვიწყარი საქმე გააკეთა. ის პირნათლად ასრულებდა დიდი სტალინის ყოველ მითითებას, რაზმავდა ხალხს ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. მისი

ხელმძღვანელობით მოპოებული წარმატებების გამო საქართველო დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით.

როგორც ვიცით, ამ თვეში ოცი წელი შეუსრულდა ჩვენს საყვარელ ორდენოსან რესპუბლიკას. ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი ხალხი ამ სახელოვან იუბილეზე თავის პირველ მადლობას უძღვნის სასიხარულო და საამური ცხოვრების შემოქმედს—დიდ სტალინს.

ანაილ ლლონი



საქართველოს ქალთა გაიმეზა



გიორგი ჯანიანი

მეტი წლის გვირ კაბუცსა ჰგავს
დღეს საბჭოთა საქართველო,
სხივთა სირშით გულს იქარგავს,
ზეიმს იხდის სასახელოს.

თვითიკ თოვლის თეთრი შუქი
თეთრ მიდამოს დასთამაშებს
და ბავშვთა სვლა ბაკაბუკით
სიხარულს ჰგვრის ისევ ბავშვებს.

ბუთბუზა თუ ცუგრუმელო —
დღესასწაულს ამკობს ყველა,
თვალეები აქვთ აღმასისა,
მათ ხედვაში ელვა ელავს...

ელვა ელავს და მეც მჯერა:
მოვესწრები უიჰველად,
რომ საგმირო იმათ საქმეს
ვახარებდეთ კრემლში ბელადს.



გაქანბიე

თებერვალი

ღოღოლი ვაღნა, ცა იცინის,
მზემ ვააღო ფართოდ თვალი
და ქვეყანას უბნება:

„თებერვალი, თებერვალი!“

სიღამ ბაღებს დაურბინა,
არე-მარე ვაღამაზდა,
მზეს შემხარის ერთხარად
მოხუცა და ახალგაზრდა.

ქუჩებს რთავენ, დროშებს შლიან,
მიდის, მოდის ყველა მარად:
ბედნიერი საქართველო
თებერვალში დაიბადა!



სწავლებლები



★ სკოლა ★

სკოლის აქროლი



ვიმყოფი ვიქნები
დღეს სკოლის კარებში;
თუმცა სამთავროს, პატარებს
ვერ შეგვაშინებს ეინვა;

დე ქარმა ბლომად გვაფაროს
ნამქერი, თოვლის ფიფქი,
ჩვენ ერთი აზრით, ნაბიჯით
წინ მიუდევარო და მიუქრით.

მივალთ და ჩვენი სიმღერა
ანხმავრებს ქუჩებს;
შევექნით ტამისკვრას, კრიამულს,
შევექნით ეივინას უჩუქუს.

ვერ შეგვაშინებს სამთარი
პატარა შეპოქმეღებს;
სათუბურკალო სელამი
ჩვენს მამებსა და დედებს!



საქართველი

კოლინე ქარქია



აფხულის მზე ზღვას დაჰხაროდა.

ზღვა წყნარი იყო, ათასფრად ბრქვევიალებდა მზეზე,

ნაპირს ეხუტებოდა და კენჭებსა და ნიქარებს ბუტბუტით ეთამაშებოდა. მობანავენი სიცილითა და ხმაურით ეთამაშებოდნენ პატარა ტალღებს. ზოგიც ნაპირზე გაშხლართულიყო და მზეს ეფიცებოდა.

ზღვის პირას რამდენიმე პიონერს თხემლის ხე მოჰქონდა. ხშირფოთილია ტოტები სილაზე მიეთრეოდა. ეტყობოდა, ხე მსუბუქი არ იყო, მაგრამ პიონერები არ ეშვებოდნენ. ერთი მობანავე, რომელიც ღიღინით მიჰყვებოდა ნაპირს, დაეწია პიონერებს. ერთხანს უყურა, შემდეგ უთხრა:

— ბიჭებო, მოსტეხეთ ორი-სამი ტოტი და შეგიმსუბუქდებათ ტვირთიო.

— არა, ძია, — უპასუხა ერთმა. — ტოტებიანად გვეკირდება, სცენაზე უნდა დავდგათ.

— სცენაზე რად გინდათ ხე?

— პიესა უნდა დავდგათ ბანაკში და დეკორაციისათვის გვინდა.

უცნობმა ხელი ჩასჭიდა ხეს, ასწია. ეტყობოდა, ემძიმა, მაშინ მკლავზე გადაკიდებული ხალათი მხარზე გადაიგდო

და ორივე ხელით მხარზე გაიღო ხე.

— აბა, საით წავიდეთ?

— აი აქეთ! — და ბავშვები გაუძღვენენ წინ.

— როდის გვექნებათ წარმოდგენა? — იკითხა უცნობმა მობანავემ.

— ხვალ, ხვალ, — უპასუხეს ერთხმად, ხოლო ერთმა, რომელიც უფროსობდა, დაუმატა: — ხვალ ღიღი ამბავი გვექნება ბანაკში. გვირის უნდა შევხედო.

— ეინ გვირს?

— საბჭოთა კავშირის გვირს. აქ ჩამოსულა სტუმრად და გვინდა შეხვედრა მოვუწყუო.

— მერე, ხე რა შუაშია?

— ხე? თურმე გვირი ტყეში ჩაუსაფრდა მტერს და გაანადგურა. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ეს ტყე და ეს ბრძოლა.

2

— ესეც ჩვენი ბანაკი! გმადლობთ, ძია! გვითხარით თქვენი მისამართი და ხვალ დაგაბატოებთ.

— გმადლობთ, გმადლობთ! მე თვითონ მოვალ. გადაეთ კარი, თქვენ ვერ შეიტანთ ამ ხეს.

ბანაკის კიშკარი გააღეს. უცნობმა ხე კლუბის კარამდე მიიტანა. აქ პიონერების მეორე ჯგუფი სცენას მართავდა. სა-

ქირო შეიქნა ხის დადგმა სცენაზე. პიონერხელმძღვანელი და პიონერები დატრილიდნენ.

უცნობმა ხალათი სკამზე დადვა და სცენაზე ავიდა. ჩქარა ხე ისე მედიდურად აიშართა სცენაზე, თითქოს აქ ამოსულიყო და არა ტყეში.

— სადაა თქვენი ტყვიამურქვევი? — იკითხა უცნობმა.

— აი ესაა, — და პიონერებმა გორგოლაქებზე დადგმული უცნაური რამ გამოაგორეს.

— ტყვიამურქვევი ცოტა სხვანაირია, ამხანაგებო! — გაიცინა უცნობმა. — მოიტათ, ჩქარა.

და უცნობის ხელში მუყაოს ტყვიამურქვევმა სულ ცოტა ხანში თავისი ნამდვილი სენისის სახე მიიღო.

— რა კარგად გცოდნიათ ტყვიამურქვევის გაკეთება! — გაუვირდათ პიონერებს. — ხვალ უმჯეკლად გვეწვიეთ, უმჯეკლად! ისეთი შეხედურა გვექნება, ისეთი, რომ მოგეწონებათ! ნახეთ ჩვენი პროგრამა! ცილა, მოიტა პროგრამა!

ერთმა თმახუქუბმა გოგონამ პროგრამა მოარბენინა. უცნობმა ღიმილით დახედა პროგრამას, ღიმილითვე შეხედა ცილას, რომელსაც ცხვარზე საღებავი ეცხო.

— ალბათ, ჩემი დახატული პროგრამა მოეწონა, — გაიფიქრა ცილამ და მედიდურად ასწია თავი.



— კარგი პროგრამაა, — მოუწონა უცნობმა და დაიწყო კითხვა: „სამშობლოსათვის“ — ჰიესა. ავტორები: მაშო, ნინო, გივი და თელა. „მისალმებანი გმირს“. საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ... ჰოო, რამდენი პოეტი გყოლიათ! „სიმღერა, ცეკვა...“ „გმირის გამოსვლა“. გმირის გამოსვლა რა არის?

— გმირი გვეტყვის სიტყვას, — აუხსნა ცილამ.

— დაგპირდათ?

— არა, ჯერ არც კი გავგიზავნია დელეგაცია მოსაწვევად. მაგრამ გვეტყვის, უმჯეკლად გვეტყვის.

— არ შეიძლება არ გვითხრას, რადგან, როცა დიდი გავხდებით, ჩვენ თვითონ ვიქნებით იმისთანა გმირები, — დაბეჯითებით თქვა ერთმა პიონერმა.

— ჰოო, რადგან ასეა, მე ვფიქრობ, არ გეტყვით უარს. ეს კაცი ვინაა, პროგრამაზე რომ დაგხატავთ?

— ეს გმირია.

— ჰგავს ვითომ?

— მე გავხეთიდან გადმოვხატე, — უპასუხა ცილამ. — ცოტა შეველაშხებ.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა უცნობმა და ხელი გადაისვა ლამაზ ქოჩორა თმებზე. — ხვალ შევადაროთ, ჰგავს თუ არა. ახლა კი ნახვამდის.

— ძია, ხვალ უმჯეკლად გვესტუმრეთ, უმჯეკლად! — შემოეხვივნენ პიონერები. — თქვენ ძალიან დაგვეხმარეთ დღეს.

— მოვალ, მოვალ, — უპასუხა უცნობმა და სკამისაკენ გაემართა ხალათის ასაღებად.

ცილა გაიქცა და ხალათი მოურბენინა. უცნობმა გაშალა ხალათი და ჩაიცვა. მკერდზე გაბრწყინდა საბჭოთა კავშირის გმირის ნიშანი...

3

გმირი რომ ბანაკს გაშორდა, პიონერხელმძღვანელმა უთხრა ბავშვებს:

— ამხანაგებო, ხედავთ, რა თავმდაბალია გმირი? იცოდეთ, თავმდაბლობა აღამიანის სამკაულია...



ღვებრძოლა ვორონილოვს

მა

კარგია, რა კარგია
შინი და თბილი დილა!
ზატარები სათამაშოდ
დილიდანვე შეკრებილან,

შეკრებილა უფლა ერთად,
იძახიან: „უაჰა, უაჰა!

დღევრძელობა ვორონილოვს—
საბჭოეთის ზირველ მარშალს!“

დღეს სამოცი წლისა გახდა
საყვარელი გმირი შია,
ვინც შრომელებს უამრავი
დასმარება გაუწია!“—

თქვენ ასე და შემოსხასეს
სიმღერა და „უაჰა! უაჰა!

დღევრძელობა ვორონილოვს—
საბჭოეთის ზირველ მარშალს!“

ზანო მათიაშვილი



მალაქა თაბუკაშვილი

თითქმის ოცი წელი გავიდა, რაც ბაბუა თედო თბილისში არ ყოფილა. აღარ მოუსვენეს შვილიშვილებმა: ჩამოდი და ჩამოდიო. მის წამოსაყვანად ჩაეიდა გოგი, და აი მოაქროლებს მათ ელმავალი...

ესეც თბილისი! საღვურზე ხალხი ფუსფუსებს. ვინ არ დახვდა თედოს: ქეთინო, სოსო, რეზიკო, გია... ჰკოცნიან მოხუცს, არ ასვენებენ.

— თქვენ გენაცვალეთ, თქვენ გენაცვალეთ! — ჩიფჩიფით ამბობს თედო და ხან ერთს უაღერსებს, ხან მეორეს.

გაიყვანეს ბაბუა, ტაქსში ჩასვეს, ქეთინო გვერდით მოუჯდა, გოგი შოფერის გვერდით მოთავსდა, სხვები ავტობუსისაკენ გაიქცნენ.

— ბიჭო, მანქანა ვინ მოგცა? — ეკითხება გაკვირვებით ბაბუა თედო გოგის. — ფულებმა, ბაბუა, ფულებმა.

ქეთინომ გაიციინა:

— რით იყიდე, ბიჭო, რით? — არ ისვენებდა მოხუცი,

— ეს მანქანა ქალაქისაა, ვისაც დასკირდება, დაიკირავებს და სადაც სურს იქ წავა ქალაქში: ტაქსი ჰქვია, ბაბუა, ტაქსი!

— ვაქსი ჰქვია? — გაოცა ბაბუა თედომ, რომელსაც ცოტა ყურს აკლდა.

უყურე ერთი! ჩემ დროს სად იყო ეს ვაქსია თუ რალაცა!

— ეე, ბაბუა, თბილისი ისე გამოიკვალა, რომ ვერც იცნობ! მოიცა, ყველაფერს დაგათვლიერებინებთ.

ამასობაში ტაქსი გაჩერდა. ტრამვის გაჩერებაზე ხალხი ირეოდა. იქვე იდგა ავტობუსიც, იქიდან იქუჩებოდა ვია.

— უჰ, რამხელა რაა! ის რალაა? — ეკითხა ცნობისმოყვარე ბაბუამ და თანაც ყურზე მიიღო ხელი.

— ავტობუსი? — ჩასძახა ქეთინომ.

— ანტონუსი! — გაიმეორა თედომაც.

— ბაბუა, შეხე ტრამვის ლიანდაგს, წინათ ხომ ვიწრო ლიანდაგი იყო, ახლა ის კი აღარ არის!

ამასობაში ხიღს მიუახლოვდნენ. აქაც შეჩერდა მანქანა.

— ბიჭო, სულ ვერ დავიმხარი! ეს ვერის ხილია?

— არა, ბაბუა, ჩელუსკინელების ხილია, ჩელუსკინელების! არც ეს იყო შენ დროს, ჩვენ გავაკეთეთ, ჩვენ! — ხმამაღლა უთხრა გოგიმ.

— ვინ თქვენ, ბიჭო?

— საბჭოთა ხელისუფლებამ, ბაბუა. აბა, ერთი იმ სახლს შეხედე! თერთმეტი სართულია, ბაბუა, თერთმეტი, — დიმილით ეუბნებოდა ქეთინო, ბაბუა თედო კი

გაოცებული მისჩერებოდა და ამბობდა:

— პა—პა—პა—პა! ე რეები გიქნიათ უჩემოდ, სულ გამოგვიკვლიათ ჩვენი ქალაქი!

— მოიცა, ბაბუა, ჯერ სადა ხარ! დაგათვალე რებინებთ...

— ცოტა ხნის შემდეგ ბავშვები ფუსფუსით ხსნიდნენ ბაბუას ხურჯინს, კალათებს. სახლში ერთი ქრამული იღვა.

კვირადღეა. ბაბუა თედო სანაპიროზეა, ხან მტკვარს მისჩერებია, ხან მოასფალტებულ ფართო ქუჩას. მასთან არიან რეზიკო, ვია, ქეთინო.

— პაი ღედასა, აქ რომ ნავაეს ყრიდნენ, ბიჭო, სუნი აბრჩობდა კაცს! ეს რა გაუყეობიათ, თქვენი ქირიმე! ის დიდი შენობა რაღაა?

— ის წიგნის სასახლეა.

— საოცრებაა! — ამბობდა ბაბუა თედო. — წინათ მხოლოდ მფეფებს ჰქონდათ სასახლეები და ახლა წიგნებმაც აიშენეს?! მიჰყენენ ნელნელა და ბაღში ამოყვეს თავი. იქ ამართულიყო დიდი ქანდაკება. თედომ მიიჩრდილა ხელი და დააკვირდა.

— ბაბუა თედო, ევ ბელოდის ქანდაკებაა. ხომ კარგია?

— ძალიან კარგია, შეილო, ძალიან კარგი, — ღიმილით მისჩერებოდა მოხუცი.

— ბაბუა, ერეენის მოედანი ხომ გახსოვს?

— მახსოვს, მახსოვს.

— წავიდეთ, ახლა იმას გაჩვენებთ. იქიდან კი ფუნქიკულერზე ავიდეთ.

ჩაასხდნენ მანქანაში, წავიდნენ. აი მოედანიც, გადავიდა თედო, შეტრიალ — შემოტრიალდა, მხრები აიჩჩია.

— სადა ვართ? ის რაღაა?

— ის ტროლეიბუსია, ეს კი ყოფილი ერეენის მოედანია, ბაბუა.

— ერეენის კი არა! ის ხომ პატარაა, უზარმაზარი ქარვასლა ღვას, იქვე ტრამვაი დადის.

— ის შენობა დავანგრეთ, ბაბუა, მოედანი გავაფართოეთ; ეს ახლა ბერიას სახელობის მოედანია, მისი თაოსნობით გაკეთდა ესეც და ათასი სხვა რამეც, და განა მარტო თბილისში?

— ჰო, შეილო, ჰო...

— აბა, ახლა კი ფუნქიკულერისკენი დაიძრნენ. ნახევარი საათის შემდეგ თედო იღვა სტალინის ქანდაკებასთან ფუნქიკულერზე და გაოცებული ათვალიერებდა ბაღს: ყველაფერი გადასხვაფერებული იყო.

— ბიჭო, მომწყურდა, აქ წყალი არსად არის?

— გიშოვით, ბაბუა, წავედეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი ავიდნენ შენანიშნავ შენობაში, გავიდნენ აივანზე და მაგიდას მიუსხდნენ...

— აი, იქ, ხედავ, ბაბუა, ბაღში დიდ შენობას? ის პიონერების სასახლეა, წინათ რომ ვორონცოვ-დაშკოვი ცხოვრობდა! აი ის დიდი შენობა კი ჩვენი მთავრობის სასახლეა...

ის კი კომკავშირის ხეივანია, შენანიშნავი დასასვენებელი და სასიერნო ადგილი, ზაფხულზე მუსიკაც უკრავს. ეს ყველაფერი ამ ოცი წლის განმავლობაში გაკეთდა, — უხსნიდა ვია.

მათ თვალწინ გადაშლილიყო თვალწარმტაცი განახლებული თბილისი.





ლენა მახარაძე



ემოდგომის მზიანი დღე იყო.

კახეთის მოედნიდან მეტეხისკენ ფეხით ჩამოვიარე. კარგახანია აქეთ აღარ გამოვივლია. მეტეხის ხიდის ყურთან ძველი ქარვასლა რომ იყო, დაუნგრევიათ. ახლა აქ ააგებენ რაიმე ახალ შენობას, ან გააშენებენ საუცხოო ბაღჩა-ბაღს, რითაც დაამშვენებენ დედაქალაქის ამ კუთხესაც.

დაღალული ვიყავი. ნანგრევებზე ჩამოვკეცი. ვუცქერი გამღვლელ-გამომვლელს.

იქვე, ნანგრევებზე, ორი პატარა ბიჭი ფუსფუსებს. ერთიც ენახოთ, აგურებში დანახებს თავგამოყოფილი მუხის მოზრდილი ფიცარი. დაეტაკენ ამ ფიცარს. ეწვალნენ, ეჯაჯგურნენ. როგორც იქნა, გამოაძრეს, ათრიეს და წყალში გადაუძახეს. მე კი მეგონა, რამე კაი საქმეზე სჭირდებოდათ მეთქი.

მეწყინა ბავშვების ასეთი ქცევა და ვეკითხებო:

—რად გადაგდეთ, ბავშვებო, ის ფიცარი?

—შენი იყო, ძია?
—არა, ჩემი არ იყო, მაგრამ ხალხისა იყო! თქვენ კი ტყუილად გადაგდეთ მტკვარში.

—მერე, მაგითი დიდი რამ დააკლდება ქვეყანას?

—ჩემო პატარა, როგორ არ დააკლდება! ცოტა რამ მაინც დააკლდება, და

თქვენ კი რა შეგემატათ, აბა მითხარიო? —ისე. კარგია, ტყაპანი რომ გაიღო მტკვარში!

ამ დროს ხილზე ძლივძლივობით, ფარფატით გამოიარა ერთმა მოხუცმა კაცმა. ნანგრევებზე რალაცას მოჰკრა თვალი. გადავიდა, აიღო და მტკვარში გადააგდო. მე გაკვირებული ვუცქერდი.

მოხუცმა შეაჩინა ჩემი გაკვირვება. რომ გამისწორდა, თითქოს ჩემდა საპასუხოდ მეუბნება:

—ის პურის ნატეხი იყო. მტკვარში გადავადგე! —თევზმა მაინც შექამოს! ესეც ქვეყნის შემატებაა.

მოხუცი ამ სიტყვებით გამშორდა. ბიჭუნები იქვე იყვნენ და კარგად გაიგონეს მოხუცის სიტყვები. მეც მივუბრუნდი და ვეუბნები:

—გაიგეთ, ბიჭუნებო, რა თქვა პაპაკაცმა? ორი დღის სიცოცხლე დარჩენია და მაინც საზოგადო საქმეზე ფიქრობს. თქვენ კი?

ბიჭები თაფჩაქინდრული ისხდნენ და ველარაფერს ამბობდნენ.





მარია გაზღანთი

(ზღაპარი)



იღი ხნის წინათ ერთს შორ-
ეულ სოფელში ცხოვრობ-
და ერთი ზარმაცი მწყემსი.
იმაზე ზარმაცი ამ კუთხეში
არ ავიჩ იყო. მთელი სოფელი გაკვრებუ-
ლი იყო მისი სიზარმაცით. თავისთვის საკ-
მლის წაღებაც კი ეზარებოდა. რომ წაეი-
დოდა, კარგად გამოძღებოდა და იტყოდა
ხოლმე: რად უნდა წავიღო საჭმელი, თან
დამამძიმებს, დაეიღლებო, თუ კი მომშვი-
დება, ჩამოვირბეცნ სოფელში და ისევ
რივიანად გამოვძღებო; ამას ისე იტყო-
და, თითქო ძალზე შკვირცხლი ყოფილი-
ყოს, ფეხის გადადგმა არ ჰზარებოდეს.

მისი ცხვრის ფარა ყოველთვის გა-
ფანტული იყო. ზარმაცი მწყემსი არც
უტკეპროდა ფარას, არხეინად გრძნობდა
თავს. იწეა მინდორში და ცას შესტკეპრო-
და. ეზარებოდა წამოდგომა. ცხვრის ფარის
შეგროვებას ხომ სირბილი დასჭირდებ-
ოდა.

ერთხელ მწყემსმა ცხვრის ფარა არეკა
მთის მწვერვალისკენ, მიანება ფარას თავი,
ვაიშხლართა ხის ძირას და ღრმად

ჩაეძინა. ვინ იცის, რამდენ ხანს იძინებდა
ზარმაცი მწყემსი, რომ არ მოშინეო-
და. ძილში სულ ხაქაპურები ესიზმრებო-
და. ხაქაპურის ფართო-ფართო ნაჭრებს
იღებდა პირში, გემრიელად ილუკებო-
და. უცებ ძალლი დაეტაკა და კბენას
უპირებდა. შეშინდა მწყემსი, ხაქაპური არ
წამართვასო, და რაც ძალი და ღონე
ჰქონდა დაუყვია ძალღს; ხაქაპურის ნა-
ჭერი პირიდან გამოუვარდა. დარღით
გამოეღვიძა. ხედავს, არც ერთი ცხვარი
არ არის ახლომახლო. დაავიწყდა შიმში-
ლი, წამოხტა და წავიდა ცხვრების სა-
ძებნად. ბევრი ეძია თუ ცოტა, როგორც
იყო, მიავნო ფარას. ცხვრებს მოსწყუ-
რებოდათ და მდინარესთან ჩასულიყვნენ.

— შეხეთ, რა კარგ ადგილას მოსულან
ჩემი ცხვრები, — ჩაილაპარაკა ზარმაცმა
მწყემსმა, — წყალი გვერღით მექნება,
შორს აღარ დამჭირდება წასვლაო.

როცა დამშვიდდა, ისევ შიმშილი იგრ-
ძნო.

— ახლა კი უნდა მივხელო ჩემს ტუქს,



უნდა შევეპაიო რამე, თორემ ლამის არის სული გამძვრეს შიმშილით, — თქვა მწყემსმა, წამოავლო ხელი გულას, გახსნა, მაგრამ შიგ არაფერი აღმოჩნდა.

— აი უბედურება, საკმელი გამთავებია და მე კი არაფერი ვიცი, — ჩაილაპარაკა ზარმაცმა მწყემსმა.

ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. რა ექნა, აღარ იცოდა. მოკუნსულდა მასთან ძაღლი და შეეკითხა:

— რაზე დაფიქრებულხარ, ჩემო პატრონო, რა გაგიჭირდა ასეთი?

— როგორ თუ რამ დამაფიქრა. შიმშილით კუკი მიხმება, საკმელი არაფერი მაქვს, სოფელში კი რა წამოყვანს, — უთხრა მწყემსმა.

— რა თქმა უნდა, ძნელი საქმეა, მეც თანავიგარძნობო, — მიუგო ძაღლმა.

მწყემსი თანდათან სუსტდებოდა, მაგრამ თავის სიზარმაცეს მიიხრცა არ სტოვებდა.

ბოლოს ხელი გადაუსვა თავზე ძაღლს და შეეხვეწა:

— ჩემო ხუბურავ, ჩემო კარგო ძაღლო, წადი ჩემს მაგივრად სოფელში მომიტანე საკმელი!

ხუბურას არც კი დასკირვებია ბევრი თხოვნა, მოწყდა ადგილიდან და გაეკანა სოფლისაკენ; სოფელში მაშინვე დაუკლეს დედალი, მოხარშეს, ჩადეს ხურ-

ჯინში, გადაჰკიდეს ხუბურას ზურგზე და გამოისტუმრეს.

ბოდის ძაღლი, მოაქვს ხურჯინი და თანაც ფიქრობს:

— ჩემ პატრონს თავისი საკუთარი კუკის გასაძღომად წამოღვამო ეზარება, მე კი მისთვის რაზე უნდა ვიმტერო თავი? — თანაც მსუქანი დედლის სუნი ნერწყვს ჰგვრიდა ხუბურას, ცხვირში უღიტინებდა. დიდხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს გადმოიღო ხურჯინი, გახსნა, ამოიღო დედალი და გემრიელად მიირთვა, ცარიელი ხურჯინი კი ზარმაც მწყემსს მიურბენინა.

— აბა, ხუბურავ, რა გამომიგზავნეს სოფლიდან? — მაშინვე შეეკითხა ძაღლს მწყემსი.

— მსუქანი დედალი, — მიუგო ძაღლმა.

— მერე და სად არის შენი დედალი? თვალები გამიშტერდა შენკენ ცქერით, კინალამ სული ამომხდა შენს მოლოდინში!

— როგორ თუ სად არის? — მიუგო განცვიფრებულმა ხუბურამ. — საკვირველია, რომ ასე ზანტად მოაბიჯებს ის დედალი! არა რცხენია? მე კარგად ვიცი, რომ შენ ძაღვზე გმოიდა, და ჩემზე წინ გამოგზავნე ქათამი. ქათამს ფრთები აქვს, გაფრინდება და ჩემ პატრონთან ჩემზე ადრე მივა მეთქი. მაგრამ ვაითუ გზაში არწივი დაესხა თავს და შესანსლა შენი დედალი?

უცდის მწყემსი მოხარულ დედალს, უცდის, მაგრამ არსაიდან არაფერი ჩანს.



შიშშილით თვალით დაუბნელდა, თავ-
ბრუ დაესხა, მაგრამ ზარმაცობას მაინც
არ იშლის მწყემსი.

ბოლოს ველარ მოითმინა, დაუძახა ერთ
ცხვარს და უთხრა: საქმელი გამითვდა,
ერთი ნამკლეო არაფერი მაქვს, სოფელი
კი შორს არის და რა წამოყვანს. შენ ჩემ-
ზე უაჩალი ხარ, გაქანდი სოფლისკენ და
მომიტანე რამე. სოფლელებს უთხარი,
მწყემსი შიმშილით კვდება, არიკა, რამე
მიაშველეთ-თქო.

ცხვარმა კარგად იცოდა თავისი პატრო-
ნის სიზარმაცის ამბავი და უცებ დასთან-
ხმდა.

წავიდა ცხვარი, თვალის დახამხამებაში
სოფელში გაჩნდა. სოფლელებმა მაშინვე
ჩაუდღეს ცხვარს ხურჯინში ფაფით სავსე
ქოთანი და გამოისტუმრეს.

მოდის ცხვარი და ფაფაში ასვრილი
ერბოს სუნი მოსვენებას არ აძლევს,
ცხვირში ულიტინებს. ჭამა მოუნდა.

ჩემს პატრონს თავისი კუჭის გამო-
საძლომად წამოდგომა ეზარება და მე
რატომ უნდა ვიშრომო მისთვისო, — ეს
გაიფიქრა, გადმოიღო და გემრიელად
მიაძლა ფაფას.

მივიდა მწყემსთან და ცარიელი ხურჯინი
მიიტანა.

— სად დაიკარგე აქამდე, ჩქარა მიჩვენე,
რა მოიტანე? — შეეკითხა სულწასული
მწყემსი.

— როგორ თუ რა, ერბოიანი ფაფა! —
ბმაყად მიუგო ცხვარმა.

— მეფე და სად არის შენი ფაფა?

— როგორ თუ სად არის? — გაიკვირვა
ცხვარმა. — ნუთუ აქამდე არ მოსულა? მე
კარგად ვიცი, რომ შენ ძალზე გში-
ოდა, ქოთანს თავი მაგრად მოვუკარი და
მდინარეში გადავუშვი. ვიფიქრე, მდინარე
ჩემზე ჩქარია და საქმელით სავსე ქოთანს



ადრე ჩაურბენინებს ჩემს პატრონს შეთქი-
ვაი თუ მდინარემ ვერ გნახა და ქოთანი
პირდაპირ ზღვაში ჩაიტანა? — დააბოლოვა
ცხვარმა.

დალონდა მწყემსი, მაგრამ რას იზამდა.
იმედს მაინც არ კარგავდა, მისჩერებოდა
მდინარეს და უცდიდა ფაფით სავსე ქო-
თანს. მაგრამ არსიდან არაფერი ჩანდა.

ახლა ვირს გამოუძახა და შეევედრა:

— ვირო, გაქანდი სოფლისკენ ჩემს
მაგიერად, მომიტანე რამე, თორემ შიმ-
შილით მოკვდებიო.

ვირი გაუდგა გზას, მივიდა სოფელში
და ყველაფერი უამბო სოფლელებს. ყვე-
ლა განცვიფრებული დარჩა. — რა აქმევს
ამდენს ჩვენ მწყემსს, რა მოუვიდაო?! —
ფიქრობდნენ სოფლელები. ვირი მაინც
არ გააჩერეს, მაშინვე ჩაღეს ხურჯინში
ცხელი ჭადი და გამოისტუმრეს.

მოდის ვირი დაღმართში და ცხვირში
სცემს ცხელი ჭადის სუნი, ნერწყვით
ევსება პირი. ბევრი ითმინა, ბოლოს
ველარ მოითმინა, დაჯდა, ჭადი მთლია-
ნად შეახრამუნა.

— მე თუმცა ვირი ვარ, მაგრამ ისეთ
ზარმაცს, როგორც ჩემი პატრონია,
ვირობას არ გავუწევო, — ჩაილაპარაკა
ვირმა და განაგრძო გზა

მივიდა თავის პატრონთან და მიუტანა
ცარიელი ხურჯინი.

თარგანი ოსტრიძის ნ. ჩაჩავასი



ლო

პატარა ყურმა და პატარა ღვეთი



ენის ნაქაზიკა



ალიკო პატარა ბიჭი იყო. დედამ დილით ტანისამოსი ჩააცვა, პირი დაბანა, ჩაი დაალევინა და ეზოში სა-

თამაშოდ გაუშვა.

ეზოში პატარა ყურმა მზეზე იწვა და ისვენებდა.

ალიკო გაიქცა ყურმასკენ. გზაში პატარა თეთრი ქვა დაინახა, აიღო და ყურმას ესროლა.

ყურმას მოხვდა ქვა. წამოხტა წკმუტუნით და ალიკოს ფეხზე უკბინა.

ალიკო ატირდა, დედასთან გაიქცა და უთხრა:

— დედლიკო, ყურმამ ფეხზე მიკბინა!

— ოჰ, ის საძაგელი ყურმა. — თქვა დედამ — მე იმას გავუჯავრდები აბა, მითხარი რატომ უკბინა ჩემს ბიჭიკოს?

— მე პატარა ქვა დავარტყი და გავჯავრდა.

— უყურე იმ საძაგელ ყურმას, ვერ მიხვდა, რომ შენ არ იცოდი, ქვით თუ რამ ეტკინებოდა?

— მე კი ვიცოდი, მაგრამ შეგონა, მოითმენდა.

— ხედავ იმ კულრაქას, რომ არ მოითმინა. უთუოდ იფიქრა: თუ არ ვუკბინე, კიდევ დამარტყამსო.

ალიკო გაწითლდა და გაჩუმდა.

დედამ ამისობაში ფეხი გახადა და გაკაწრულ ადგილას იოდი წაუსვა.

